gi kagowalky, Igswaskaot mazdo dakathoz m. wyaktod gwaityat tatwato, Ne 2.

вызбромотов. Въ Тифлисъ, въ резиция

წელიწადში. 6 თვეს. ვთვეს

роэба"-"Иверіи"

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ **Ო**ᲠᲨᲐᲒᲐᲗᲡ

ลวาบ จวยดาวเลขากา

popo strajnos stratej 1jmi, fizincejinozot strados, hymos stratej festizino jeż. fizincejinozot stran strantije jinostopo jeż.

on bestatande danakant, tagestos seetimatit pe Islangente webestitose sedangestore filocopte. Rentitore filocol tagestore gadon sid rentantità estato.

356 bsops 3 -- 236 jsanget, agbyet estis 1632-

1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ.ᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲡ

gsmil badido, Rhajdobse Rock 5 jst. "ogjhooks 2 dst.

ceuys 3

ღირს ოთხი მანეთი

030605

ᲝᲗᲮᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ "ᲓᲠᲝᲔᲒᲐ" ᲓᲐ "ᲘᲕᲔᲠᲘᲐ" ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

@1000999999999

(bambons Imhok basajhombo)

ქანდაარი, 22 აგვისტოს მტრების რიგხვი დიდ-მალია. რობერტსმა და-ათვალიერა მტრის ადგილები და ნახა, რომ იმათ მაგარი მოსაგერებელი ად-გილი უგირავთ მადლობებზე. რო-გორც კი საკმაო ცნობებს შეკრებს რობერტსი, თავს დაესხმება იმათ.

რომი, 21 აგგისტოს. ინგლისას გემთა ერთი წყობა გუშინ პალერმოდამ რაგუზისაკენ წაგიდა; იქითკენგე მიკლენ იტალიის სომალდები.

ჩილის და პერუს შორის მოლაპარაკება არის ომიანობის მოსპობის თაობაზე.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲰᲘᲠᲔᲑᲐ

Bozowala, 23 szzalone.

დადგა შემოდგომა—სწავლის დაწყების დრო, და იწყება ქაპან-წყვეტა
სწავლის მოსურნე ყმაწვილებისა და
ამათ მშობლებისა. უველა მშობელს
ჰსურს, უსწავლელი, გაუნათლებელი
არ დარჩეს თავის შვილი; ყველას ესმის, რომ უსწავლელი კაცი ნახევარი
კაცია და არაფერს არ ზოგავს იმისთვის, რომ როგორმე და რომელსამე სასწავლებელში მიაბაროს თავის
შვილი.

საუბედუროდ, ხშირად, ძალიან ხშირად ამათი სურვილი და ნატერა შეუსრულებელი რჩება: ყმაწვილი კარგათაც მომზადებულია, ეგზამენიც რიგიანად დაიჭი რა და არც სხვა რამ დაბრკოლება მიუძღვის მშობლების მხრით; მაგრამ უბედურება, ძველი უბედურება, რომელსაც მუდამ წელიწადს ასე უნაყოფოდ უჩივის ყველა, ის არის, რომ სასწავლებლებში, საცა მიიყვანს თავის შვილს მშობელი, ადგილი, ვაკანსია არ არის და თავის ხარჯითაც რომ უნდოდეს, მაინც არ იღებენ. — პდგილი აღარ არისო! ამ პასუხით ისტუმრებს სასწავლებლის მოაგრობა ყმაწვილსა და იმის მშო-

დალონებული მამა მეორე სასწავლებელში მიდის, იქაც იგივე პასუხი, მესამეში და მეოთხეში—იგივე. და ამ ნაირად როგორც ჩამოსულა, ისევ უკან მიდის უნუგეშოთ.

მაევე მოელის იმას მეორე და მესამე წელიწადსაც. ბმასობაში ყმაწვილს წლოვანობა ნებას აღარ აძლევს, რომ მიიღონ რომელსამე სასწავლებელში და რჩება უსწავლელი, გაუნათლებელი, სოფლის აზნაური, თავადი, მღედლის შვილი, გლეხი.

შარშან ძუთაისის გიმნაზიიდამ, პროგიმნაზიიდამ და სხვა სასწავლებ-ლებიდამ, როგორც გვწერდნენ, ამ უადგილობის მიზეზით, სამასზე მეტი უმაწვილი დააბრუნეს უკან, არ მიი-ლეს. ბმდენივე, თუ მეტი არა, თფი-ლისის სასწავლებლების კარებიდამ იყვნენ დათხოვნილნი. ბქაურ სამხედრო გიმნაზიაში სულ 25 თუ 30 ვაკანცია იყო შარშან და თუ სახელ-მწიფო და თუ თავის ხარჯით შეს-ვლის მსურველ ყმაწვილთა რიცხვი კი ოთხასზე მომეტებული იყო. ბმ გვარ-სავე მდგომარეობაში არიან უეზდის ქალაქების სასწავლებლებიც.

მრთის სიტყვით, საშუალი გამოანგარიშებით რომა ვსთვქვათ, თუ რომელსამე ჩვენებურ სასწავლებელში ვსთქვათ ერთი ვაკანციაა, მსურველი სამი და ოთხი, ხან ათიც ჩნდება; ერთს იღებენ, დანარჩენი ცხრა, თუ საკმაოდ მომზადებულია, ვამოსაცდელ ეგზამენსაც კარგათ იჭერს, მაგრამ სასწავლებელში, უადგილობის გამო, რიყეზე რჩება, უსწავლელი რჩება.

ფიდი ხანია ისმის ჩვენში საჩივარი ამ სამწუხარო გარემოებაზედ. ფიდი ხანია სჩივიან, თხოულობენ ჩვენი მშობლები, ოღონდ გვისწავლეთ შვილებსო და რაც შეგვიძლიან, არაფერს დაეზოგაეთო. მაგრამ შველა და დახმარება ამ მდგომარეობაში არსაი-

მართალია, მთავრობის წყალობით, პირველ-დაწყებით და საშუალ სას-წავლებელთა რიცხვი თან-და-თან მუდამ წელიწადს მატულობს, მრავლ-დება ჩვენში; მაგრამ ეს მომატება ისეთის პრაპორციით ვერ მიდის, რო-გორც ხალხის სურვილი და ხალისი სწავლისადში.

მეორეს მხრით, ხაზინას ამ ჟამად არა აქვს იმდენი საშუალება, რომ ამ აუცილებელ მოთხოვნილების დაკმა- ყოფილება ერთბაშათ და გაუჭირვებ- ლად შეიძლოს. საუბედეროთ ისეთს დროში ვცხოვრობთ ჩვენ, როდესაც ყველა სახელმწიფოები განზე, გაბ- ლგერით შესცქერის ერთმანეთს, ყვე- ლას ამოღებული ხრმალი უჭირავს

ხელში და ყველა მზათ უნდა იყოს საომრად. ბმის გამო ყველა სახელმწიფოები, და სხვათა შორის რუსეთიც, სამხედრო საჭიროებისათვის, ჯარის შენახვისათვის, დაიარალებისა, ცეიხეების ასაშენებლად, სამხედრო ხომალდებისათვის და სხვა ერთიmhore, banhore ghan byoose co ghთი ათად უფრო მომეტებულს ხარჯავს სახელმწიფო შემოსავლიდამ. ვიდრემ სახალხო განათლებისათვის. მაგ. რუსეთი სამხედრო სამინისტროსათვის წელიწადში 175 მილიონ მანეთს ხარჯავს წელიწადში და სახალხო განათლების სამინისტროსათვის jo abrama 18 dommontodont. მაგრამ, ვიმეორებთ, მეროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური მდგომარეოdo ad godogo obyono, mad bodbyoma საჭიროებისათვის ძალა-უნებურად უფრო მომეტებული უნდა ხარჯონ თავიანთ ხაზინიდამ, ვიდრე ხალხის განათლებისათვის.

ბმიტომაც, თუ მთავრობა, ხაზინა ვერ დაგვეხმარება განათლების საქმის წარმატებისათვის, თვითონ საზოგადოება, თვითონ ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ შემთხვევაში რასმეს გარიგებას. რაც თითოეულ განცალკევებულ პირს გაუჭირდება ან ვერ შეუძლია, იმას ადვილად მოახერხებს მთელი საზოგადოება ერთად. ბხლა თუ ჩვენებურ მშობელს ოცი და ორმოცი თუმანი ეხარჯება შვილის მოსამხადებლად, mays lobagoon both non gobbonen სასწავლებელი იქნცბა, მაშინ თითოეულს ამას მეათედიც არ დაეხარჯება და უკეთაც მოამზადებენ, ასწავლიან പ്പെ ആറത്യം

მს უბრალო ჭეშმარიტება გაიგო ჩვენმა თავად-აზნაურობამ და ამიტო-მაც გარდაწყვიტა საკუთარი გიმნაზი-ის დაარსება. მაგრამ მარტო დაარსე-ბის გარდაწყვეტა არ კმარა, საჭიროა თვით საქმის შედგომა, შედგომა კეთილის აზრისა, სისრულეში მოყვა-ნისა.

რაც დღე მიდის, იმდენი ზარალი ეძლევა, იმდენი აკლდება ჩვენს საზოგადოებას იმისაგან, რომ ახალმოზარდი შთამომავლობა გაუზრდელად, გაუნათლებლად რჩება. ბმიტომაც ამ საქჰეს გონიერად, რიგიანად წაყვანას გარდა აჩქარებაც ეჭირება.

08000 N 08000N

ბორისა და თელავის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებამ, როგორც მოგეხსენცბათ, თითქმის ერთ-ხმად გადაწყვიტეს, რომ ქართულ გიმნაზიის გასამართავად მუდამ წელს შესაწევ-

რის შემოტანა იკისრონ, ვალდებული გახადონ. სიღნაღისა და დუშეთის თავად-აზნაურობას ერთხელ ჰქონდა ამავე საგანზე კრება, მაგრამ, რადგან საკმაო წევრნი არ დაესწრნენ, ამის გამო ხელ-მეორედ არის ამათი კრება დანიშნული.

ჩვენ გვაკვირვებს, რომ თფილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თ. შაქრო მაღალაშვილი საჭიროდ არა რაცხს, რომ ამ საგანზე კრება დანიშნოს და თავის მაზრის თავად-აზნაურთა მხრითაც იმ გვარსავე გარდაწყვეტილების მიღებას მოუმართოს ხელი, როგორიც მიიღო მართლისა და ძახეთის თავად-აზნაურობამ?!.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ სექტემბრის პირველ რიცხვებში საზაფხულო თეატრში წარმოდგენილი იქნება რუ-სული პიესა ახალ-გაზდა ავტორისა, თავ, ა. ი. სუმბათოვისა სახელად—"მეხის ამცდენი".

ეს პიესა პირველად იყო წარმოდგენილი მოსკოვში "ბრტისტიულ-წრეში" (პრუჟოკში), სადაც საზოგადოებამ მიილო თანაგრძნობით. ჩვენ თითონ არ გვინახამს ეს პიესა და არც შემთხვევა გექონია რომ წაგვეკითხა და ამისთვის . ჯერ გარდაწყვეტილს ჩვენს აზრს ვერ წარმოვსთქვამთ, მაგრამ ეს-კი შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მოსკოვის საზოგადოება, განებივრებული ისეთის დრამმატიულის მწერლებისაგან, რომელთაც დაბადეს "რევიზორი", "3აი-ქკუისაგან" და სხვა, თუ რაიმე ლირსება არა აქვს, ისე ადგილათ თანაგრძნობით არ მიილებს ხოლმე ყველა ახალი ავტორის ნაწერს, როგორც მიიღეს თავ. სუმ-Boomgob Boglos.

ამ წარმოდგენაში თანა მონაწილეობას მიიღებს თითონ ავტორიც, რომელიც სცენიკურს ნიჭს არ არის მოკლებული.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენებური ეს ახალ-გაზდა მწერალი არ დაკმაყოფილ-დება მარტო რუსულ ენაზედ წერით, დაეხმარება სამშობლოს ლიტერატუ-რასაც, რომელსაც ისე ეჭირება რი-გიანი და ნიჭიერი მწერლები.

ჩვენ გავიგონეთ, რომ ბ. შენიგს თავის პავილიონში ვაჭრობა იჯარით გარდაუცია ერთის ურიისა და მზარე-ულისათვის და ამ ახალი მოიჯარად-რეთაგან მოსამსახურების შევიწროება იქამდინ მისულა, რომ ამ მოსამსახურებს ერთად თავი დაუნებებიათ ამ პავილიონში სამსახურისათვის. ჯერ არ შეგვიტყვია ამ საქმეზედ დაწერი-ლებული ანბავი, არ ვიცით—რა ყო

ფილა მოიჯარადრესა და მოსამსახურეთ შუა არეულობის მიზეზი; მაგრამ ის—კი შეგვიძლიან გითხრათ,
რომ მუშა ხალხი, თუ კაცმა ძალიან
არ შეავიწროვა, თავის დდეში ეგრე
ერთბაშათ თავს არ დაანებებს თავის
სამუშავოს, რომლიდგანაც შოულობს
ლუკმა-პურს, და ისე უსაქმოთ სასეირნოდ არ გაიხდის საქმეს.

* *

ბორიდამ იწერებიან, რომ ამ თვის 18-ს იქ ყოფილა ქართული წარმოდგენა ერთის ახალგაზდა ყმაწვილის სასარგებლოდ, რომელიც რუსეთში წასელას ემზადება უმაღლესს სასწავლებელში შესასვლელად. შთამაშნიათ ანტონოვის კომედია "მორ-Мღლი", როგორც გვაცნობებენ, კარგათაც წასულა წარმოდგენა. ბანსაკუთრებით კარგათ უთამაშნიათ ძერესელიძის მეუღლეს, ნატროევისას და ქართველოვისას. შემოსავალი ყოფილა სულ

თეატრის სეზონი დგება და ქართულ ტრუპპის შედგენაზე, ქართულ წარმოდგენებზე-კი ჯერ-ჯერობით. არა ისმის-რა. ჩვენი საზოგადოება ერთობ შეეჩვია, შეეს ვისა ქართულ თეატრს და ძალიან სამწუხარო იქნება, თუ წლევანდელ ზამთრის განმავალობაში მოკლებული ვიქნებით ქართულ წარმოდგენაებს...

იმედია, თეატრალური კომიტეტი ანუ ამხანაგობა მიიღებს მხედველობაში ამ მოთხოვნილებას საზოგადოებისას და რითაც შეუძლიან ეცდება იმის რიგიანად დაკმაყოფილებას.

* *

რაჭიდამ გვწერენ, რომ ჩვენი ძველი მაზრის უფროსი თ. ნ. ჩ. მხოლოთ იმას აქცევდა ყურადღებას, რომ
კარგი გზები ჰყოფილიყო იმის მაზრაშიო. ბხლანდელი მაზრის უფროსის
ბ. ბ. მეცადინეობა კი მხოლოთ ის
არისო, რომ ხიდები გააკეთოს. ბარდა
ამისა ჩვენის მხრის სხვა საჭიროების
დაკმაყოფილებას ძალიან ნაკლებად

*

ბორიდამ გვაცნობებენ, რომ იქ ქ-ბ მარიამ პერესელიძისას გაუღია ქართული წიგნის მაღაზია. ბორელები მადლობელნი არიან ამ პატივცემულის პირისა და კიდევაც ხვლს უწყობენო.

* *

ჩვენ გვთხოვენ სასულიერო მთავრობის ყურადღება მივაქციოთ ბტამანის ქუჩაზე მყოფს ძაშუეთის ეკკლესიის შენობაზე, რომელიც ბ. მდივანს
აუშენებია ზემოხსენებულის ეკკლესიის
მიწაზე იმ პირობით, რომ 24 წლის
შემდეგ შენობაც და მიწაც ეკკლესიას დარჩესო. მაგრამ ბ. მდივანს ისე
სუსტად აუშენებია, რომ 24 წელიწადი კი არა, ათსაც ვერ გასძლებსო:
ჭერი ეხლავე დალპა და ყველა დუქნებში კოკასავით ასხამს წვიმასო, ასე
რომ, თუ ეხლავე არ შეკეთდა ეს
შენობა, დანიშნულს დროზე ეკკლე-

სიას ისეთი შენობა ჩაბარდება, რომელშიაც კაცი ვერ გასძლებსო.

ახალციხის ახალქალაქიდამ დიდ სამდურავს იწერებიან ერთს იქაურ მლვდელზედ მ. დ. ტ—ვზედ, რომე-ლიც ხალხსაც აწუხებსო და ვერც თავის მოვალეობას ასრულებს რიგიანათაო.

ლეჩხუმის მაზრის სოფ. **ზ**უბიდამ გეწერენ:

"ჩვენი სოფლის ზუბის ადგილობრივმა მღვდელმა, ჩვანე ჩაკვეტაძემ, ხატზე გადასცა თავის ყველა თანა-მესოფლენი, რომელნიც ამიერიდამ გაბედვენ აბრეშუმის მოწევას!..

"ბხლა არ იკითხავთ რად ინება ამ ზუბელმა პაპმა ამისთანა სასტიკი ლონის-ძიების მიღება იმისთანა კეთილი საქმის წინააღმდეგ, როგორიც არის აბრეშუმის მოყვანა?

"— ბქაო და აბრეშუმს ქარი ჰყვებაო და სოფელს ვნებსო...

"ნეტავ ვიცოდეთ, რა უფრო მავნებელი უნდა იყოს სოფლისათვის: ქარი, თუნდ უსასტიკესი ქარიშხალიც, თუ ამ რიგი ჭკუა - გონების პატრონი მღვდელიო ²⁴⁴ ბმბობს დასასრულს ჩვენი კორრესპონდენტი.

"ᲓᲠᲝᲔᲒᲘᲡ" JMᲠᲠᲔᲡ3ᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ზემო-იმერეთიდამ, 21 აგგისტოს. (კიდეგ ქვა-გუნდის შესასებ). იმოდენი სხვა-და-სხვა კორრესპოდენციები იყო ჩვენს გაზეთში შავი-ქვის თაობაზედ, რომ შეიძლება მკითხველს მოეწყინა ამ საგანზედ წერილების კითხვა; მაგ-რამ რა ვქნათ იმდენი ახირებული ხასიათები გამოაჩინა ამ საქმემ, რომ მომეტებულად არ ვპოვებს ცოტა-ოდენი კიდეგ მოვილაპარაკოთ.

ბი საქმე რაში მდგომარეობს:

შესაძლოა, ბ. რედაქტორო, რომ თქვენამდინაც მოაღწია იმ ხმებმა, რომ ვითომც ძუთაისის მაზრაში, სოფ. ბიშურაში, სოფ. ჩხარს აღმოჩდა ნიშნები მარგანეცის მადნემისა. რასაკვირვ ლია, რომ ამ ამბავმა ბევრი მოიყვანა აღტაცებაში, ნამეტურ მეპატრონეები ამ ადგილებისა. ზიდი ოცნებაები გამდიდრების თაობაზედ და ყველა მათგანი ცდილობს თავიანთ ადგილებს გაუკეთოს სახელი და დანარიან და მადლობას სწირამენ ღმერთს

სიმდიდრის მონეჭებისათვის.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენში
ყოველნაირ ადგილებს ბევრნი მეპატრონეები აუჩნდებიან და თითეული
მათგანი უვრცელებს ხმას და ყვირის,
რომ გამოუჩდა მადნები! ამასთან
მოვიხსენიოთ კიდევ ის სპეკულატორები, რომლებსაც მუდამ ყური აქვთ
გაცქვეტილი, რომ არ გაუშვან
ხელიდამ ყოველი მათთვის სასარგებლო საქმე, და ამიტომ ყოველ ამ
ადგილების მეპატრონეებთან თითო
ამ გვარი სპეკულატორი ამოდგება
გვერდით, და ერთის ერთი-ერთმანეთის შემწეობით იმისთანა ხმა დავარ-

cos sa dynosolol asthol asot gooi loaდიდრეზედ, რომ ქიათურას მომავალი დიდი ხნით წყალში ჩავარდნილი იქ-Egdom! bolisizomm gl shot, had sho მეპატრონეებს, არც სპეკულიატორებს არაფერი არ ესმით შესახებ მარგანე-Onl lafanla; abmemme ongosto al გვარ ბედნიერებას ამყარებენ იმ ნიშნებზედ, რომელნიც დღეს აღმოჩნდა ზემოხსეჩებულ სოფლებში და რომელნის სრულებით არ ამტკიცებს, რომ იმ ადგილებში იყო ნამდვილი, ვარგისი და დიდი მარგანეცის მადნები ბეოლოგიური აღწერილება ჩეენი ინჟინერებისა და სხვა გამოჩენილი agrammagants yout on adamage არათუ ამ სოფელში, შორაპნის მაზრაში, ისე სხვაგანაც იმერეთში ყველგან მოიპოება ნიშნები მარგანეცისა. მაგრამ ყველა ეს ნიშნები რჩებიან ნიშნებათ და ნამდვილი მადნები მარგანეცისა, რომლებისა მომავალი დიდი სასარგებლოა კი პიათურაშია, hadmol ladgagand co gonzaludol ვერ შეედრება, ვერც ერთი ევროპის მარგანეცის მადანი. მაშასადამე აქაურის მღელვარება და სპეკულატორემის კუდ-გამზეკით სირმილი სუ უ ფუჭია, და იმედია, რომ ამ ნაირი ხმები ვერ შეაშინებს პიათურის და ლვიმევის მცხოვრებლებს და არ დაასხლეტინებ ხელიდამ თავიანთ სიმდი-

რადგან ზემოხსენებული ამბები გვაძლეტა შემთხვევას მოვიხსენიოთ ჩვენი ხლესტაკოვი ბ. მერცენტელდი, ამიტომ უნდა ვსთქვა—თუ რა ნაირათ უიდა მოისპოს ეს გარემოება და რა როლს თასაშობს ის დღეს.

როდესაც იმ ყურამდი მოაწია, ხმებმა, რომ ეითომ ძვემო იმერეთში აღმონჩდა მარგანეცის მადნები, იმავე წამს გამოსწია ძვემო იმერეთში, გამოსძებნა რამდენიმე მეპატრონეთაგანი ზემოხსენებულს ადგილებისა და სთხოვა მათ მიეცათ ნება, რომ იმას დაეწყო გამორკვევით მუშაობა. მაგრამ რას ნახავდა, რაც არა იყო-რა. მხოლოდ ის მაინც დიდ იმედებს აძლევდა მეპატრონეებს, რომ დიდ სიმდიდრეს ჩაიგდებდნენ ხელში.

ბმაში ძალიან ეწევა ბ. მერცენ-

ტელდს გ. **ე**ფიმოვსკი.

ბმ ნაირ მოქმედებით ჰგონია პიათუhad agasammengan agallatal cos hanგდოს მ. თი მადნები მუქთად ანუ იაფად მაინც; თორემ როგორც უმეტესი ნაწილი 3ახტერის ფულებისა დაიხარჯა გაიძვერობაში ისე ორიოდე ისი სანეთიც გაუძვრება ხელიდამ, ამასთან მარგანეციც გამოელევა იმ ადგილებში, რომელზედაც პარობით შეეკრა თ. . აბაშიძეს. 12 წლით, რადგან იქ ბუდები არის როგორც ყველგან, ჩვენში და მაშინ თუ ღმერთი შეგვეწია და მისმა უკანასკნელმა ოინებმა ველარ გასჭრა ბ. ეფიმოვსკის შემწეობით აიკრავს ბარგს და როგორც მობრძანდა, ისე წაბრძანდება თავის მახტერთან, რომელსაც ამ ნაირი პატიოსანი აგენტები ჰყოლია, ბ. ტერმონიც ძალიან უზვიადებდა სახელს ბ. მერცენ ფელდს; მაგრამ დღეს

ეს უკანასკნელი უქანი არე ამ აპორჩება ბ. შერმანს ოინტება — აქე ასტერიტ შორს არ არის ამ პატიოსან საქმის კაცებიდამ!

მარტო მერცენდელდს არ შეუძლია ამოდენი საქმის ჩადენა: ამას ეხმარებიან ის პირები, რომელნიც ერთ დროს ყოფილან მწერლებათ, ლაქიებათ და უჩასტკის ნაჩალნიკებათ, რომელნიც ისე გაწუწკებულები არიან ფულებზე, რომ თუ ვისმეს შეამჩნიეს ორიოდე მანეთი, ისეთს თვალებით შესცქერიან იმის პატრონს, რომ გეგონებათ ძალიან მწყერზედ დაგერშილი მეძებარი, ერთი "ეცი" რომ შესძახო, არ ვიცი რას არ წაავლებენ ხელს. — შეიძლება ამ ნაირმა პირებმა ყვერაფერი იკადრონ, მაგრამ ძალიან მიკვირს, რამ აიძულა ჩვენი ბ. ეგიმოვსკი, რომელიც ისე დახურდავდა, რომ თითქმის უდრის ზემოხსენებულ პირებსა. — მე არა ვარ წინააღმდეგი, რომ ყოველმა ადმინისტრატორმა უნდა მისცეს შემწეობა ყოველ კეთილ სინიდისიან კაცს, რომელიც მის მაზრაში დააპარებს დამყარებას კარგი საქმეებისას და არა მერცენდელდს, რომელიც არაფერს არ მოერიდება, თუ თავისი დაცარიელებული ჯიბე გაივსო. პირველად ბ. მფიმოესკის დაწვრილებით უნდა გაეგო—თუ რა ტომის კაცია მერცენ ფელდი და მერმეთ დასდგომოდა მოურავათ. თუმცა ბოლოს იქნება გაიგოს—თუ რა მღერიე ტბაში შეტოპა, მაგრამ ძალიან გვიან იქნება თუ მატერიალურად არა, ზნეობითად მაინც დასჯი-

მართალია, მერცენფელდის პირველი ამხანაგები დაიბნენ იქით-აქეთ,
მაგალითად, ბ. ლენჩევსკი, როგორც
ამბობენ, აქლემების ჩამოსარე კად წასულა მრივანში, რომ თავისი მარგანეცი გადმოზიდონ რგანიდამ, ბ.
სერჟპუტოვსკიმ საჩივარი გამიმართაო
და მით უნდა თავი გაიმართლოს;
Фურან-მერცენფელდმა თავიანთი ცრუ
საჩივარი აღსრულებაში მოიყვანეს,
და მით ვითომ მერცენფელდს სახელი
გაუკეთეს და კრედიტი აღუდგინეს.

ამ საქმეში ისე არაფერი არ მაკვირებს, როგორც ჩვენი გამოჩენილი
ადვოკატის უფ. ალ. სტეფანოვის
მოქმედება თუ როგორ ჩაუვარდა ამ
ზემოხსენებულ ადამიანებს ხელში
და გახდა იარაღათ ცრუ-საჩივრისა,
და გაუმართა ხელი იმისთანა ადამიანებს, რომელსაც რომ გაიცნოს კარგათ, თავსაც არ დაუკრავს, ამაზედ
კიდევ მოვილაპარაკებთ შემდეგში.

പ്പെട്ടി ടൂട്യാവി

₹ᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ

(დასასრული *)

ბატ. მაჭავარიანი გადაწყვეტით ამტკიცებს, რომ იმას ნოტების შედგენა შეუძლიან; ამისათვისაც "თუ ესე არ ყოფილიყო, რა სისულელე მოუვიდოდა მოეკიდნა ხელი". მაგრამ ამა-

^{*)} ისილე დროება № 178,

المالية المالية

შიაც სჩანს მისი უბრალო კვეხნა: პირეელად გეახსოეს მისგან შედგენილი ქართული სიმღერების ნოტებზე დაწერილი სტატიები და დაბეჭდილნი "ლოფების" ნომერში, რომლითაც აჩენდნენ მის უვარგისობას; და მეორედ: ბატონი მაქავარიანი გრძნობდა თავის ნაკლულევანებას, რომლისაგამოც იმან ინება მოგზავრობა იმერეთისა და ბურიისაკენ, სადაც უნდა დაახლოვებულიყო მგალობლებთან. შეესწავა რამე და ესრეთ თავის საქმე შეესრულებინა; იმან ამ საგნისათვის სთხოვა სემინარიის "პრავლენიე"-ს მიეცათ სამგზავრო ფულები, პრავნიემ საქმე გადასცა სინოდალნი კანტორას, რომლის გადაწყვეტილებით კიდეც მიეცა 50 მან. *) მაგრამ საუბედუროთ ჯერეთ ანგარიში არ წარმოუდგენია კანტორაში, თუ სად രിമുപ്പേട്ടെ ചെയ്യു പ്രാധിക്കുള്ള പ്രാധിച თუმანმა. ბავიგეთ მარტოკა მლ. ძარბელოვთან ყოფილამცირე ხანს. ბრც ეხლა დარწმუნდება მკითხველი, რომ ბატ. მაჭავარიანს ჰყვარებია მუქთათ ფულის მიღება და გადაყლაპეა 30003

bama რაიცა შეეხება ბატ. მაქავარიანის შემდეგ სიტყვებს, რომ მისი ნოტების უვარგისობა უნდა გამოჩენილიყო პირველადვე მაისში.... თუ არ ვარგოდა მაშინვე უნდა შესდგოamong on bbg. -- 38 logყვებზე ისევ ის პასუხი უნდა ვსთქვა, რაც ზემოთ გვითქვამს: ჩვენ ნოტებს არ ესწუნობთ, ნოტების სარგებლობას გალობის გავრცელებისათვის ვხედავთ და კიდეც, უკეთუ, როგორც გვითქვამს, შემოწმდება და მის ღირსებას დააფასებენ მცოდნე პირნი, მაშინ რასაკვირველია, როს ბატ. მაჭავარიანი გარდა ჯამაგირისა ის პატივსადებელი უნდა შეიქნეს კერძო პირ-താളാട്, ხოლო მთავრობისაგან ჯილcar god god on months. magantes adბობს ბატ, მაჭავარიანი, ვითომც მე შემეწყვიტნოს მისთვის ნოტების იედგენა; ესეც ცხადი სიცრუეა. ბატ. მაქავარიანს უნდა შეემზადებინა ნოტები და წარედგინა სიეზისთვის განსახილცელად, ეს იმან ვერ შეასრულა და შემდეგ სიეზდმაც გულ-გრილათ შეხედა საქმეს. ბარდა ამისა, ყოელად სამღედელო ეპისკოპოსი ბლექსანდრე წაბძანდა შუა-მთის მონასტერში და თან იახლა მგალობელნი, სადაც დარჩნენ სამ კვირამდე და odon got amhodol chal, hologomველია, ვერას გააკეთებდა; აქაც მე არა ვარ დამნაშავე.

დასასრულ ვიტყვით: ბატ. მაქავარიანი რომ ამბობს: "იმედი მაქვს, ჩემი ნოტები კი გამოდგება, მაგრამ მ.
მაკარიმ ბევრი ავნო საქმეს: მ. მაკარის მვოხებით იმ ფულმა (800 მ.) უსაგებლოდ გაიარა საზოგადოებისთვის."—მე ერთსა და იგივეს ვიტყვი, ბ.
მაქავარიანის ნოტები მანამ არ შემოწმდება მცონე პირთაგან არა მგო-

*) საქმე სინოდალნი კანტორისა, 23 მაისისა 1877 წლისა № 89.

ნია გამოდგეს. bama hongs შეეხება რეაას მანეთს, რომელთაც ჩემის მეოხებით ვითომც უსარგებლოდ გაიარეს საზოგადოებისთვის, ეს ძრიელ უგუნური მსჯელობა არის ბატ. მაქავარიანისა, ესე რომ ეს ფული ჩემს ხელში არ ყოფილა, მერე რატომ ბატ. მაჭავარიანი არ წაიკითხავს ჩემს ზაიავლენიეს მიცემულს კომიტეტში დათხოვნისათვის ჩლენობიდგან და კიდეც 19 ნოემბერს 1879 წელსა სრულებით დავეთხოე და რაღა ფული იქნებოდა ჩემს ხელში? და თუნდ კიდეც ჩემს ხელში ყოფილიყოს, ბატ. მაქავარიანმა რა რომ დაინახა უსარგებლოდ ხარჯვა მისი, შეეძლო როგორათაც ჩლენს განეცხადებინა კომიტეტში, მაგრამ ეს იმას არ უქ-

ჩვენ საქართველოში თავის დღეში არსებობდა გალობის ზეპირათ გარდაცემა. ჩემს დროში მოვიწვიეთ მღ. ingument mangentil golungages ჯამაგირი, ეს ასწავლიდა ზეპირათ, მოსწავლეთ ისწავლეს და კიდეც იმე-ത്രാട്ടാ ദ്വര്യ്യുന്ന, നമ്പി മറിമുട് ട്രിറ്റ്യლები თითქმის ერთს საუკუნეს გაძლებს. ეხლანდელმა გურულმა მგალობლებმაც ასწავლეს ვინც კი ბეჯითობდა და ვინც არა, ის ჩვენი ბრალი არ არის. მაგ. დაისწავლეს მათგან ზეპირის ვადაცემით: იოანე ნათლის-მცემლის მორჩილმა ბიორგი ბულისოვმა, პეტრე დიმიტრიევმა, სამების და ორბელიანთ ეკკლესიის მეფსალმუნემ, სიონის სობოროს მორhomos os lbg.

მაგრამ ნოტებით კი ჯერეთ არავის შეუსწავლია. ბხლა იფიქრეთ მაშ ამისთანა შრომისათვის არ უნდა მისცემოდათ მგალობლებს ჯამაგირი? მაგრამ ეს უკანასკნელი აზრი ბატ. მაჭავარიანისა გვათქმევინებს შემდეგ საღმრთო წერილის სიტყვებს: "სთქვა იუდა სვიმონისმან ისკარიოტელმან, რომელსა ეგულებოდა მიცემა მისი (იესოსი), რაისათვის ნელსაცხებელი ესე არა განისყიდა სამასის დრაჰკნის და მიეცა გლახაკთა. სოლო ესე სთქვა, არა თუ გლახაკთა რაიმე ზრუნვა ედვა გულსა მისსა, არამედ რამეთუ მპარავი იყო და გვადრუცი მას აქვნდა და მთასადებელი იგი მას ჰკიდავნ." (nast. 12, 4 6).

არსიმანდრიტი მაკარი. 16 აგკისტოს, თფილისი.

> თქგენო მადალ დიდსებაგ მაშაო არხიმანდრიტო მაკარი!

მე წავიკითხე გაზეთი "ფროება" № 131, რომელშიაც მაჭავარიანი სწერს, მითამც მას არ გადაეღოს წირ-ვის გალობა დიდი მასილისა და ბრიგო-რი ფეთის-მეტყველისა. ბოსადგენელად სიმართლისა ვალად ვრაცხ ვაცნობო თქვენს მაღალ-ღირსებას შემდგომი: მაჭავარიანმა გარდაიღო მწუხრის სა-გალობელნი დიდი " ბკურთხევსი " "ნეტარ არს კაცი" რამოდენსამე ხმა-ზედ, "შფალო ღაღადყავსი" დასდე-ბელენი აღდგომისანი თავის აწდათი

და ტროპარნი, გალობანი წირვისა იოანე ოქროპირისა, მასილი ფიდისა, "შენდამი იხარებს" ბრიგორი ორ მეტყველისა, "წარემართენ აწ ძალნი ცათანი და ვაკურთხო უფალი ყო-ველსა ჟამ ა".

პმასთან ავე დავუმატებ, რომე მაჭავარიანს დაეკარგა გადაღებული
ნოტზედ "პკურთხებს სული ჩემი
უფალსა" და "ნეტარ არს კაცი" და
ხელ-მეორედ გარდაიღო იქმნება და
კარგა გარდაღებული ნოტებზედ "შენდა მიიხარებს, წარემართე და ძალნი
ცათანი და ვაკურთხო უფალი" და
ამისთვის უარს ყოფს.

დავშთები და სხე. თ. მელქისედეკ გ. ნაკაშიძე. 14 იკლისს, 1880 წ.

agpuradu

წვრილი ამბმბი. ინგლისურს გაზეთში "Daily News"-ში შემდეგი
ტელეგრამმა არის დაბეჭდილი, როშელიც მას ზუბლინიდამ მიუღია:
"გუშინ აქ მოვიდა დრაგუნის პოლკი,
რომელსაც დასავლეთს ირლანდიაში
დააბანაკებენ, იმ ჯარების მაგივრად,
რომელიც წასრულს არეულობის
დროს მსახურებდა იქ. ძიდევ აპირებენ ჯარების გაგზავნას ქ.ქ. მეიოსში'
ჰალვეისში, სლიგოში და ბორკში,
სადაც მიწები უნდა ჩამოართვან ხიზ-

ირლანდიაში ხიზნებს გაუკრავთ განცხადებანი, რომლებითაც სიკვდილს ჰპირდებიან ყველა იმ მამულების პატრონებს, რომელთაც ხიზნები ჰყავთ და გაბედვენ მათს ადგილიდამ აყრას. **ე**ს მუქარა, რამდენჯერმე კიდეც აასრულეს. თუ რომელიმე მიწის მეპატრონე ითხოვს ხიზანს, და უნდა ამ უკანასკნელისაგან შემუშავებული ყანა მოიმკოს მუშას ვეღარ შოულობს, ლამით მოდიან ხიზნები, მთელს ყანას მკიან და მიაქვთ თავიანთთვის. My ხიზნის დამთხვეველმა სათიბათ გადააქცია ხიზანის მიწა, მაშინ თავს ესხმიან ჯოგს, ცხვრებს ჰკრეჭვენ და რქიან საქონელს ჰჭრიან კუდს, ყურს და სხე. საკვირველი ის არის რომ ყველა ეს ბოროტი მოქმედებანი დაუსჯელნი რჩებიან, რადგანაც იმედი არა აქვთ დამნაშავენი აღმოაჩინონ ისე მტკიცეთ არიან მეთქმულნი ყველა ადგილობრივნი მცხოვრებელნი.

პლჟირელ ფრანცუზულს გაზცთში ვჰკითხულობთ, რომ იქაურ არაბებს სიცილიაში გამოუციათ გაზეთი სახელად Indépendant (დამოუკიდებლო-ბა) რომელიც აქეზებს პლჟირიის ხალხს საფრანგეთის წინააღმდეგ ასაფანყებლად. ბარდა ამისა, პარისელ გაზეთების სიტყვით, სახარის ტომებში ამ ბოლოს დროს ერთობ გრცელდება იტალიაში გაკეთებული თოფებიო.

ბელგიურს გაზეთში "ბკლგიის დამოუკიდებლობაში" დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული კორრესპონ-

დენცია, რომლიდამაც ჩეგნ ჩემდებს ადგილს ვიღებთ:

"ბლბანიელებმა გადასწყვიტეს არავის დაუთმონ თუ გინდ ერთი მტკაველიც თავიანთ სამშობლოისა, იგინი ისე არ დასთმობენ ზულცინოიოის, როგორც ბუზას, მუსინვ-პლავას, და ყურსაც არ დაუგდებენ მელი-რიზა ფაშას. მაშასადამე ოსმალეთი ტყვილა ჰპირდება ევროპას ზულცინოიოს ჩერნოგორელებს ჩავაბარებო.

რიც შეეხება ზღვაზედ დემონსტრაციას, ამაზედ კი სრულიად არაფერს ამბობენ აქ. ბმ დემონსტრაციამ ყოველგან ერთობილი სურვილი გამოიწვია, და მართალი გითხრათ, ვერაფერი შვილი გამოგონება დაურჩათ მვროპის დიპლომატებს ეს დემონსტრაცია.

მმილ-დე-შირარდენის გაზეთი საფრანგეთი La Françe ამბობს, რა საჭიროაო ჰერმანიისაგან ბლზას ლოტარინგის დაბრუნებისათვის ომი, მოუცადოთ ჰერმანიის გაკოტრებას და მაშინ, როცა მას სისხლი დაშრობას დაუწყებს, დამშვიდებული შევიდეთ მეცში და სტრას მბურღშიო.

624030

ონ გროშზე თავის გადაკვლა: რუსეთის ერთ ქალაქში ერთმა ურიის გოგომ წაიყვანა ქათამი ებრაელთა ფრინელების საყასბოში, ჩააბარა დასაკლავათ ერთ "მეყასბეს" და ამასთან მისცა 2 კაპ., რომელიც იმას ერგებოდა ქათმის თავის მოსაგლეჯათ. მეყასბემ გამოუცხადა გოგოს, რომ სანამ ერთ კაპეიკსაც არ მოიტან, ქათამს არ დავკლავო. მალმა თავის მამას აცნობა ყასბის მოთხოვნილობა. მამა იმ წამსვე გაიქცა და მრისხანებით დაუწყო ჩხუბი ყასაბს, რომ სამი კი არა, ორი კაპეიკი გერგებაო ქათმის დაკვლაშიო. 5-10 მინუტის ჩხუბის შემდეგ გაჯავრებული ებრაელი უცებ წაიქცა. მოიყვანეს მკურნალი, მაგრამ ის მომკვდარიყო. დამტკიცდა, რომ ის ებრაელი ბნედიანი და გონება შერყეული ყოფილა და სასტიკმა გაცხარებამ გული გაუ-6gon / 3! ...

ჩვენი სალხის ზოგიერთი ცრუ-მორწმუნოებანი: პირველად რომ ახალ მთვარეს დაინახამენ თეთრ ფულს უჩვენებენ და უწრუწუნებენ და ამბობენ: "მთვარე ვნახე ნებაზე ჩემსა გუნებაზედა". ამას იმიტომ შერებიან რომ ფული არა გამოგველევაო.

*

ახალი მიცვალებულის დედამ თუ მზის ჩასელის შემდეგ წყალი დალია, ვიდრე ვასკელავი არ ამოვა იმის შვილს საიქიოს წყალს არ დაალევი-

ნებენო, ეტყვიან: შენი წილი წყალი დედა შენმა დალიაო.

როდესაც დაქვრივებული ქალი ან კაცი ჯვარს იწერს მეორეზეო, იმ დროს მისი პირველი მეუღლე საფ-ത്രാദ്വായ വ്യാഗ്യം

ჯიბით თუ ძველს ფულს ატარებენ ჯიბეში ფული არ გამოილე-

ბაზაფხულზე თუ ვისმეს სახლის ბანზე ოფოფი დაიძახებს, იმის სახლში იმ წელიწადს მოკვდება ვინმეო.

ძაოლმა თუ ზუილი დაიწყო პატრონი მოუკვდებაო.

გ%აში თუ ღვდელი ნახე, <u>სუდი</u> რამ შეგენთხვევაო, ქვა უნდა გადააბრუნოვო.

პერანგის საკინძი თუ ჩამოგწყდეთ മാദ്യാര്യന്റെ പ്രാച്യാന്യാര്യാര്യാര്യം ഗന്നრემ მეუღლეს გვიან შეირთამთო.

დედას რომ პირველი შვილი მოუკვდეს ჩიქილა უნდა ჩაატანოსო და ყური კი მოგლიჯოსო: შეილები აღარ მოუკვდებაო.

პისაც შვილები არა რჩება ურჩევენ რჯულ გამოცვლილს მოანათვლინე და აღარ მოგიკედებაო.

harcolog Franco sh darcol, gohl წარბზე ტალახი წაუსვით და მოვაო.

372999999999999999999999999999

amasssen 8en 30630en 056360-ᲓᲐᲛ ᲒᲐᲛ**Ო**ᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣ-ᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ

"3U3WPU6.37

პროგრამმა ამ ჟურნალისა: വ്യത്തെട്ട ბელლეტრისტიკა, ുര്ന്റ്രപ്പുs და ბიბლიოგრsთია, მინაური მიმოსილკა და ჰოლი ტიკა.

გამოვა თვეში ერთხელ შვიდი osdsbagsd sosdgali.

ფასი ჟურნალისა წელიწადში നത്ര-ഉട-ടത്ന പ്രാത്രം

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში ჩარკვიანისა და ამს. წიგნის მაღაზიაში და არწრუნის ეარვასლაში ბიბლიოთეკა № 145

გარეშე ხელის-მომწერნი მო-ပြန်ကိုတည္သုပ် ကြောင္လာျပည္ပြင္သည္တြင္း နဲ႕ နွင့္ကြက္ပြဲတော့ Въ Тифлисъ, книжный магазинъ Чарквіани.

რედაქტორი 6060 გაგაუვილი. (6-3)

ბეგუსტოს 24-სა კვირას იქნება Johnyma

678766760

თავ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ რესტორანს შვეიცარიაში. (2-2)

agnoamont P33W2U.

კანის გამანაზებელი და დამარბილებელი. სტეფანე მანველოვის მაღაზიაში, ბოლოვინის პროექტი პრ. მდივანის bobman.

ᲐᲮᲚᲐᲓ **ᲒᲐ**ᲦᲔᲒᲣᲚᲘ

8. 3N3N279N7972

ქართული წიგხის მაღაზია

იმყოფება, ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით, წოვიანოვის დუქნებში, № 2.

მსურველთ ამ ადრესით შეუძლი გ წიგნების დაბარება.

Въ Тифлисъ. Въ книжный маг-Зах. Чичинадзе, Базарная улица д. (5-3)

3220M47

M 906606 303606

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროგის პროსპექტი, ტიშერის სახლი)

βηορηφαδύ და βηοφού, კომმούοοσ ყოველ გვარ საქონელსა.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის zebebeggiggese.

წარმამოდგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნეdals os bezekom bebogdale.

აქვე ნარდათ გეიდის და გეიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲛᲝ.ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ Მ**Ო**ᲒᲫᲐᲜᲓᲜᲔᲜ 31 ᲐᲒᲕᲘᲡomb, 330636, 6mg. 33376-00606. ᲡᲐᲫᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗ შვილების სწავლა-განათლების სა_ ვის ხიდზე მორონცოვის ძეგლის პი **ᲨᲣᲐᲚᲔᲒᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲩᲔᲜᲐᲓ.**

(10-5)



65da zedenha- E രെ ഉട പ്രദ്യം പ

രൂർുളം **ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲜᲐ**Ო.ᲤᲚᲐᲠᲘᲡᲐ. ഒരმელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ all Allenon nearly gas.

372372020

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთაგარი დეშო ამ Vამmals sool os sods good degal 8-ക്രി 3. 3563661306 ട്യാനടു പ്ര ქ. 356შაგაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

copo asamans asmashababs asadsgs 70 50 კა 8. ლირს, პაცარა — 30 კა 8.

ருந்து துருவுன்கும் குறிற்கு முற்றி გალმანინი არ შემოგატეუონ.

გ. გარმინსკი. (25—21)

ദന്മാന മാസ

gesconsens tol lingagin fishbols

7574

Sabsogal, hand 15 namologod sa 1880 წლ. იყიდება საუკეთესოდ დაწმენდილი და გადაყენებული ეოდკიბი შემდეგი წოდების: სასადილო, ბრინჯისა და ბულმერინგის, თითო ბოთლი უბოთლოთ 45 კ. ბოთლიანათ 38, ნახევარ ბოთლისათვის 25 j. უბოთლოთ 20 კ. სხვა ხარისხების საგანგებოდ დახზადებულნი ცალკე პრეისკურანტით იყიდება.

ერთად მყიდველებს ბეერს დაუკლებენ.

მს ვოდკები საუკეთესო პურის არყიდამ ყოფილა დამზადებულნი საორთქლე დამწმედელით და თავიანთ თვისებით უკან არ ჩამოურჩებიან სატახტო ქალაქების ცნობილთ ფირ-

მიგვიქცევია ბ. ბ. მყიდველების ყურადღება წარდგენილს ნაწარმოებზე madama mahladalogal Ashbata 30სუხს აგებს.

მოდკის დეპო იმყოფება მიხაილო-രാ-30ന ლიხოტინსკოის სახლში.

რამდენიმე ინჟინერთ საზოგადოება იღებს თავის თავზე: 1) ეოველ გვარ შენობისა და ასაგების პროექტის და ანგარიშის შედგენას ტფილიხში და მის არე-მარეში; 2) მუშაობაზე თვალ-ეურის დაჭერას და 3) რჩევას იმლევა ტეხნიკურ საქმეებში. კომენდანტის ქუჩა, სახლი № 35, მარჯვნით. მოლანარაკება შეიმლება ეოველ დღე საღამოს 5 საათიდამ 8-მდე

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი-1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის-19.40 კ

- - -1 - 20-1-60_ _ _1_40 -1-80

- - 1 - 60- -- 2- ,, - -1-80-2-50

bom 1909 bm - 2 - - 3 - - 3 - - 3 - ...

0ქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები ქაღალდი მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები — კაცისი და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი — სულ ყველაფერი 25დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

3ინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწეჩს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის. (100-14)

3000500050 76m03020

თმებისაოვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურაგებით 2 მანეთიდამ; სარძეგე 30 კაზ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წელის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრები 1 მან-დამ; თეთშები 2 მ-დამ ინიდუყ; შოკოლადის კანფეთები 20 j-დამ თითო ყუთი და სხვ. 068ლn-1761 30C080030.

(100-42)

"CHMISOU" SMROS

CHARLES THE STATE OF THE

— 1— 66, 0. 33 — gl. Odgg 50 306yხი თ. რ. ე—ის შენიშნვის თაობაზედ არ დაიბეჭდება. მცირე საგანზე ბევრი ლაპარაკი არა ლირს.

— 3— 30, J. J— ლს. მტყობა მიდგომით არის თქვენი სტატია დაწერილი და ამიტომ ვერ იბეჭდება.

_ 3 _ 5 8 _ 56. სუსტი სცენაა თქვენი სცენა. შკაცრავათ თუ არ ვიქნე-ბით, წერა არ შეგიძლიანთ.

_ b_b, J. 6-dgb. Jhoobgom 200ნობეთ, რომ თქვენს პედაგოგიურ წერილებს გაზეთში ადგილი არ ექნება. რაც შეეხება თქვენს ლექსებს, ხე-ლოვნება სჩანს, პატარა ნიჭი გეტყობათ, მაგრამ ამ ნიჭს შემუშავება და განათლება ეჭირება.

— J-gl, J. J-bab. damos jaman იქნება, რომ პირდაპირ "წერა-კითხვის საზოგადოებას" მიმართაედეთ; იმისაგან მიიღებთ ნამდვილ პასუხს.

— 3—ს, მ. 0—ს. რუსულის ცოდ-ნით უნდა გაგვაკვირვოთ? მართულ გაზეთის რედაქციაში იწერებით, ქართველი ხართ, ქართულად მოიწერეთ.

— 3−6, J. 3−6. Jayman 30ზეთი არავის ეგზავნება.